

შოთა რუსთაველის სახადენიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული მასწავლებლის ფაკულტეტი

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

ჰუმანიტარული მასწავლებლის ინფორმაციის საზოგადოებრივი
საექსპოზიციო ცონფერენციის მასალები

I

International Conference Proceedings
HUMANITIES IN THE INFORMATION SOCIETY



აზრის ცვალვადობა თარგმანი

რას ნიშნავს აზრის ცვლებადობა ? პირველ რიგში იმას, რომ ერთ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული, ზოგჯერ საპირისპირო მნიშვნელობაც. აზრის ცვალებადობა განსხვავდება ორაზროვნებისაგან, რისი გათვალისწინების გარეშე ინტერპრეტაცია ანუ თვით ტექსტის გაგების პროცესი შეიძლება ორაზროვნი გახდეს. სამაგიუროდ, პოლისემანტურობა, ერთი და იმავე ტექსტის შიგნით მრავალი შესაძლებელი მნიშვნელობის არსებობას გულისხმობს. საკითხს აზრის შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ბევრი მეცნიერების კვლევის საგანია. ჩვენი მიზანია აზრის ცნება განვიხილოთ ტრადუქტოლოგიის პლანში, ამიტომ შევეცდებით პასუხი გაცემთ დასმულ კითხვას ტექსტის ლინგვისტიკის, სემანტიკისა და სემიოტიკის თვალსაზრისით, რომ გავიგოთ თუ როგორ ფუნქციონირებს ტექსტი, რა არის მისი მექანიზმები, ხად გადის ზღვარი ტექსტის გაგებასა და კომუნიკაციას შორის, რათა განვაზღვროთ თუ როგორ შეიძლება ისახოს აზრის ცვალებდობა თარგმნის პროცესსა და თარგმნის დეფინიციაზე, იმის გათვალისწინებით, რომ თავისი ცნებითი თუ ფორმალური განსომილებით, აზრი თარგმანის მარობრავებელი ძალაა. მთლიანობაში ეს საკითხი ეყრდნობა სამ ძირითად ცნებას, რომელიც უმბერტო ეკომ თავის ნაშრომში : «Les limites de l'interprétation » (ეკო 1992:73) გამოყო. ის გულისხმობები: მკითხველსა და ავტორს, დიდ და დახურულ ტექსტს და განსხვავებას სამ ინტენციას შორის. ესენია: *intentio auctoris, intentio operis* და *intentio lectoris*.

აზრის ცვალებადობა და აზრის აგება. როგორ აგებს აზრს მოსაუბრე, ანუ რა არის *intentio auctoris*? რისი გამოცემა სურს მას, რა სტარტეგიას იყენებს მის მისაღწევად? ამ ქმედების განხორციელება მხელოდ მოსაუბრებუ არ არის დამოკიდებული. ის დამოკიდებულია აგრეთვე კომუნიკაციისა და ენობრივი სისტემის ფუნქციონირების მეთოდზე. ამ ორ სფეროში შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორები გამოვლინდეს, რომლებიც აზრის ცვალებადობას იწვევს. ცნობილია, რომ ერთი სამეტყველო ჯაჭვი არ შეიცავს აზრს, ის არ გამომდინარეობს სიტყვების უბრალო დაჯუფებისაგან. ის გამომდინარეობს იმპლიციტური მნიშვნელობებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ დისკურსს ახასიათებს. უმბერტო ეკოს მიანინა, რომ ტექსტი იმპლიციტური აზრის ქსოვილია (ეკო 1985: 65). სხვაგვარად რომ კოქვათ, აზრი შედგება იმპლიციტური ულემენტებისაგან. იმპლიციტური მნიშვნელობის წარმოქმნის მიზეზი სხვადასხვაგვარია. ლიტერატურულ ტექსტში საქმე შეიძლება ეხებოდეს ესთეტიკურ მხარეს, რომელიც სიტყვის სტრუქტურას მართავს და გამორიცხავს მრავალი ტყვიაობას. ზოგჯერ მოსაუბრე, რომელმაც იცის, რომ მსმენელს მსგავსი ინფორმაცია გააჩნია ფიქტობს, რომ ზოგიერთი მონაცემის მითითება ზედმეტია. მეტყველების ეკონომის პრინციპს იქამდე მოვყავართ, რომ ყველაფერი რაც გამონათქვამის გაგებისათვისაა აუცილებელი, შეიძლება ნაგულისხმეული იყოს, განსაუტრებით ექსტრალინგვისტური რეალობითა და შეტყველების აქტის კონტექსტით ხანაცვლების დროს. აზრის გასაუბრავ საჭიროა გათვალისწინებულ იქნება გამონათქვამის ყველა ელემენტი. ინფორმაციის მიღებისას, თუკი იმპლიციტური მნიშვნელობა მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის გამოხატული შესაძლებელია, რომ გაუგაბრობამ იჩინოს თავი. არსებობს დისკურსის ისეთი ტიპები, რომლებშიც აზრი ბუნდოვანია. მაგალითად, პატარა მოცულობის ტექსტებში (ანდაზა, მაქსიმა) აზრი აღრეულია წარმოდგენილი სიტყვების მნიშვნელობასთან. იგივე შეიძლება ითქვას განიხებსა და იურიდიული ტიპის ტექსტებზეც, რომლებშიც კანონმდებლის სურვილი საემარდ ზოგადი ფორმულირებით გამოიხატება, რათა არ დაირღვეს გადაწყვეტილების საყოველოთ ბენება. ლიტერატურული ტექსტის შუღლივობა მისი იზოტოპების კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარეობს, რაც მისი მრავალჯერ წაკითხვის საშუალებას იძლევა. ტექსტი შეიძლება იყოს დია ან დახურული. ეკო (ეკო 1985: 7) ახდენს ტექსტების კლასიფიკაციონურებას ორ დიდ კატეგორიად. ტექსტი დახურულია, თუკი ავტორის მიერ გათვალისწინებული ტექსტის წერბა მხელოდ ერთი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, რაიმე სახის ინსტრუქცია, სამზარეულოს რეცეპტი ან კონტრაქტი. ყველა მათგანი დისკურსის სახეობებია, რომლებშიც პრინციპში აზრის ცვალებადობა შესდგულებია. სამაგიუროდ ტექსტი დია, როდესაც მრავალმნიშვნელოვანია და იძლევა მრავალჯერადი წაკითხვის შესაძლებლობას. დაწერილი ან ზეპირი ტექსტი ავტორომიურია. ეკო საუბრობს *intentio operis*-ზე. ეს კი ტექსტის ის უნარია, რომელიც ავტორისაგან დამუკიდებლად არსებობს. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინო მაგალითია ლიტერატურული ტექსტი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტექსტი მისი სტრუქტურის დარღვევის გარეშე

ახალი ხედვის საშუალებას იძლევა. ყველაზე უკუთხესად ასეთი ზემოქმედება შეიძლება პოლიტიკურ ტექსტზე განხორციელდეს.

აზრის ცვალებადობა და აზრის გაგება. ტექსტი მკითხველმა უნდა გაიგოს. ეკოს (ეკო 1985: 66-7) თქმით, ტექსტი ზარმაცი მექანიზმის, რომლის ამოქმედებას ვიდაცის დახმარება უსჭიროება. *Intentio lectoris*, ეს მკითხველის წელილია, რომელიც ტექსტის ფუნქციონირებასა და მისი მნიშვნელოვანი არსის გამოყოფას ეხმარება. აღბათ, ცვალებადი ერთეულია, რომელიც ხელს უწყობს აზრის ცვალებადობას. ამას ორი მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს. პირველი იქიდან გამომდინარეობს, რომ ტექსტის ინტერპრეტაციის დროს აზრის აღქმისას, მკითხველი ტექსტში საკუთარ პიროვნულ თვისებებს, ცხოვრების უსულ გამოცდილებას, ცოდნასა და იდეოლოგიას ასახავს. უამრავი ფაქტორი არსებობს, რომელიც ტექსტის ხედვას განაპირობებს და რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია მკითხველის მიერ მის გაგებაზე. ტექსტის თავისუფალი გამოყენების დროს მკითხველმა შეიძლება მოღიანად შეცვალოს ტექსტის თავდაპირველი აზრი. თვით სამეცნიერო ტექსტი, რომლის დანიშნულება თავიდანვეა ცნობილი, არაა დაცული ასეთი ტიპის გადახრისაგან. მოხსენება მემკვიდრეობითი უჯრედების შესახებ, რომლებსაც ემბრიონისაგან გამოყოფენ, განსხვავებულად იქნება აღმზული სხვადასხვა სპეციალობის ქონების მიერ. მეცნიერისათვის იგი სამეცნიერო კვლევაში წინსვლას მოაწვალებს, მოძღვარი აღშურთდება, ხოლო კიბრით დაავადებულისათვის კი იმდის მიმცემია. ინტერპრეტაცია აუცილებლად სუბიექტური იქნება. როდესაც ტექსტს უფრო მიზანმიმართულად იხილავთ, პირი, რომელიც მის ინტერპრეტაციას ახდენს, ითვალისწინებს იმ ინფორმაციას, რომელიც მას გააჩნია. ის, რაც ხსნის ერთი და იმავე ლიტერატურული ტექსტისადმი სხვადასხვა მიღომას, არის *intentio operis intentio lectoris*-თან ერთად, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამგარად, ინფორმაციის მიღებისას, ინტერპრეტაცია სცილდება ნათქვამს. როდესაც სახელმწიფოს მეთაური ან სახელმწიფოს რომელიმე მოხელე აზრს გამოთქვამს, მისი ნათქვამი იმ წუთასვე ურთიერთგამორიცხავი კომენტარების ობიექტი ხდება. თითოეული ახდენს თავისებურ შეფასებას. როგორი შინაარსის ტექსტიც არ უნდა ავიღოთ რელიგიური, ლიტერატურული, პოლიტიკური, გინდაც უბრალო დიპლომატიური დეპეშა, ყველა შემთხვევაში, ამგვარმა ქმედებამ შეიძლება დაწერილ ტექსტში აზრის გადაადგილება გამოიწვიოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტის აზრი გამომდინარეობს სამი სემონსენებული ინტენციის ურთიერთგებებით და ინტერპრეტაციულ პროცესში აზრის ცვალებადობა მათი თანაბარი განაწილების შედეგია. ცვალებადობა მათ თავად აწონასწორებს შეტყველებისა და თვემატიკის თავისებურებიდან გამომდინარე.

აზრის ცვალებადობა და თარგმანი. დაეუკავშიროთ აზრის ცვალებადობის პრობლემა პირდაპირ მთარგმნელობით საქმიანობას. გავაანალიზოთ აღწერილი სიტუაციის მნიშვნელობა, განვხზავვროთ თავად თარგმანი ხომ არ არის აზრის ცვალებადობის მიზეზი. პირველი საკითხი ეხება მთარგმნელის იმ სფეროში შექრას, რომელიც დაფარულია ორი ინტენციით *intentio auctoris* და *intentio operis*. რაც შეეხება *intentio lectoris*-ს, ანუ მკითხველის ტექსტში ჩართვას, ორი ფორმით როგორებიცაა სუბიექტურობა და კრიტიკული ხედვა, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაუკანილი, რადგანაც მთარგმენლს უფლება არა აქვს არც გამონათქვამი შეცვალოს და არც თავისი აზრი გამოხატოს. მოსამზადებელ ფაზაში, მან განსახილველი საგნის სემანტიკური შინაარსი და ბუნება უნდა შეაფასოს, რათა კრიტიკული ანალიზის მეშვეობით სრულყოს ტექსტის აღქმა და ინტერპრეტაციის მეშვეობით ტექსტში იპოვოს დახმარება. ყველა შემთხვევაში, უნდა მოხდეს მთარგმნელისა და ავტორის შერწყმა, რადგანაც საქმე ეხება მიერმოობის გარეშე ნათქვამის ინტერპრეტაციას. იგი არ უნდა დაემსგავხოს კრიტიკოსს. მთარგმნელი სანიმუშო მკითხველი უნდა გახდეს, რომელზეც გათვლილია ტექსტი. მთარგმნელის მიერ განხორციელებული კითხვის პროცესი, რომელიც გულისხმობს ზოგად და ინტერპრეტაციულ მიღორმას, მიმართულია ტექსტში მოცემული ინტენციის საიდენტიფიკაციოდ და ის განსხვავდება ჩვეულებრივი კითხვისაგან, რომელიც ხან სუბიექტურია ხან კრიტიკული. ფრანსუა რასტიუმ თავის ნაშრომში «Sens et textualité» (რასტიუ 1989: 32) დაგვანახა, რომ აზრი მუდამ გაუგებარი როდია. იგი შეიძლება ზოგიერთი ელემენტის გათვალისწინებით უშეცდომოდ იქნეს გაგებული. საგმარისია ჩვეულებრივ საუბარს დაგაკირდეთ, რომ დავადგინოთ, ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავდ სისტემა ფუნქციონირებს და რომ ჩვენ სხვისი ნათქვამი გვეხმის. თუკი ინფორმაცია ჩვენამდე დიდი დანაკარგების გარეშე აღწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ფაქტორი ამარტივებს მის გადაადგილებას. იმ საშუალებებს შორის, რომლებიც აზრის კონკრეტიზაციის ახდენს, არსებობს ენის ფუნქციური სისტემა, რომელიც გამოყენებით ინდივიდუალურია, თუმცა სოციალური შეთანხმებიდან გამომდინარეობს. წარმოიქმნება მეტყველება და ამ მეტყველების სპეციფიკური სტრუქტურა. არსებობს უამრავი ენობრივი, სიტუაციური, დისეურსიული ორიენტირი, რომელთაც უნარი შესწევთ ხელი შეუშალონ აზრიდან გადაცდებას, რომლითაც ხდება ნათქვამისა და მოლოდინის სდგარის განსაზღვრა. უმძერტო ეკო თავის ნაშრომში «Les limites de l'Interprétation» (ეკო 1992:130) წერს: «მას შემდეგ, რაც ტექსტი

შეიქმნება, შესაძლებელია მას ვათქმევინოთ უამრავი რამ, ზოგჯერ განუსაზღვრელად ბევრი, მაგრამ კრიტიკული თვალსაზრისით შეუძლებელია და გაუმართლებელი მას ვათქმევინოთ ის რასაც ის არ ამბობს. ზოგჯერ ტექსტი იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე ავტორს წარმოუდგენია, მაგრამ ნაკლებს, ვიდრე ბევრ თავშეუძვებელ მკითხველს სურს. » ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ლიად ტექსტი. ინტერპრეტაციის დროს ორიგინალის თვითყოფადობა და კოპეზია უნდა იქნეს დაცული. რაც შეეხება მთარგმნელს, ავტორის გეგმის მიხედვით, ის ახდენს მხოლოდ იმის კონსტატაციას, არის თუ არა ტექსტი ლია. იგი ცდილობს ამის დაცვას იმისათვის, რომ მისი თარგმანი სხვა კულტურაში გასაგები გახდეს. აზრი შეიძლება იყოს ორგაზი, ერთი, რომელიც გამოყოფა აეტორის ნათქვამიდან და რომელიც შეესაბამება *intention auctoris*-ს და *intention operis*-ს. მეორე, ფარული აზრი, რომელიც გათვლილია მკითხველზე, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ *intention lectoris*-ზე. პირველი აზრი მყარია, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი, რომელსაც ემატება ყველაზე ტენდენციური ინტერპრეტაციაც კი. თარგმანში, ავტორის განზრახვა გადმოიცემა, ის აზრი, რომელიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც «სიტყვასიტყვითი». ამის შესახებ 1984 წელს დანიცა სელსკოვიჩი თავის სტატიაში წერდა: «თარგმანი გამოყოფს იმას, რასაც თითოეული ხედება იმ სიტყვიდან, რომელიც მისკენაა მიმართული ანდა იმ ტექსტიდან, რომელიც მისოვისაა განკუთვნილი. ეს არის იმ სიტყვების ანდა ტექსტის აზრი, რომელსაც მთარგმნელი გარდაქმნის თავისი კვლევის საგნად, მას არც ენა, არც ავტორის გადაწყვეტილება აინტერესებს, არამედ ის, რასაც მისი ნათქვამი გადმოსცემს». (სელსკოვიჩი 1984 : 264) თარგმნის ინტერპრეტაციული თეორია მოითხოვს, რომ აზრის გაგებისას ენა სიტუაციასა და კოგნიტიურ ცოდნას დაუკავშიროთ. მთარგმნელის მიერ აზრის გაგება უნდა მოხდეს რაციონალურად და არა სუბიექტურად. მართალია, თავიდან მთარგმნელი მკითხველად გვევლინება. იგი ტექსტს იხილავს თავისი გამოცდილების, ცოდნის, განათლების, ემოციურობის შესაბამისად. იგი ცხოვრობს ამა თუ იმ დროს და მიეკუთვნება რომელიმე სოციალურ ჯგუფს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ყველაფერმა ზეგავლენა უნდა მოახდინოს თარგმანზე, რადგანაც მთარგმნელმა სხვისი აზრები უნდა თარგმნოს. თუკი მთარგმნელის მისია აზრის აღდგენაა, ამის განხორციელება მას მხოლოდ ეკვივალენტური ფორმების მეშვეობით შეუძლია, რადგანაც ენები თავიანთი ბუნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. სელსალი ფორმულირების ნებისმიერი სტრატეგია ეფუძნება არჩევანის ცნებას. იმ შეთანხმებას, რომელიც არსებობს ორიგინალის მოთხოვნებსა და სხვა ენაზე მისი განხორციელების შესაძლებლობას შორის. სწორედ გამონათქვამით და არა აზრით ვლინდება მთარგმნელის შემოქმედებითი უნარი. თუმცა, ამ თვალსაზრისით მთარგმნელი სრულიად თავისუფალი როდია, რადგანაც მან უნდა დაიცვას აზრსა და ფორმას, ცნებითსა და ემოციურს შორის არსებული მიმართები. ისმის კითხვა: მთარგმნელობითი პროცესი თავად ხომ არ არის აზრის ცვალებადობის წარმოქმნელი? მრავალი მიზეზის გამო თარგმანი არ არის და არც შეიძლება იყოს ორიგინალის ზუსტი ასლი. თარგმანი, ნებისმიერი კითხვის პროცესის მსგავსად ინტერპრეტაციული პროცესია, რომელიც შეიძლება წარმატებით შესრულდეს თუკი მთარგმნელი იფარგლება ჩემს მიერ ზემოთ განსაზღვრული არეალით. თვით შემოქმედებით პროცესში თარგმანი გონივრულ საქმიანობად რჩება, მაგრამ თუ წესებს არ დავიცავთ, თარგმანი აზრის ცვალებადობის მიზეზი გახდება, რამაც შეიძლება თავიდაპირველი აზრი დამახინჯოს, რაც უფრო იმ პროცესს შეაფერებს, რომელმაც საბოლოო მიზნამდე უნდა მიგვიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ექმ 1985 : Eco Umberto « Lector in fabula » Trad. M. Bouzaher. Paris :Grasset.
2. ექმ 1992 : Eco Umberto « Les limites de l'interprétation ». Trad. M. Bouzaher. Paris : Grasset.
3. რასტი 1989 : Rastier, François. *Sens et Textualité*. Paris : Hachette.
4. სელსკოვიჩი...1984 : Selevcovich Danica. Lederer Marianne. Interpréter pour traduire. Paris: Didier Érudition.

Sense Instability in Translation

Sense with its formal and notional dimensions is a main force of translation. According to Umberto Eco the sense embraces a writer and a reader, open or closed texts and three different intentions: intentio auctoris, intentio operis, intentio lectoris.

Sense building and sense Instability. Sense building depends on a speaker as well as on communication and operative methods of language system. Eco divides texts into two major categories: open and closed. A text is closed, if the author provides only one-way interpretation of a structure of a text. It is open, when a text is polyvalent and gives an opportunity to interpret it in many ways.

Sense instability and Understanding of Sense. The sense of a text is a result of interactions of the three intentions. Throughout the text interpretation sense instability comes as an equal result of these shares.

Sense instability and Translation. Sense instability is directly linked with translation activity. A translator doesn't have a right to change an expression or express his own idea. According to an author's plan a translator just defines whether a text is open or not. His translation should be clear to other cultures. An author's purpose is given in a translation. A translator should understand sense correctly. A translator's target is to recover sense. He can succeed only using equivalent forms. Exactly expression forms and not sense shows a translator's creative skills. He should maintain in existed connections between sense and form emotional and notional factors. In a creation process a translation remains an intelligible activity. But if we don't follow rules, a translation causes changing of sense, and can disfigure the primary sense endanger the last aim, main purpose, than help the original and translated texts reach each other.